მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 13 1883—1903 15 ივლისი

სად უნდა ინათლებოდენ ბავშვები?

ბერძნეთში და რუსეთში დიდი ხნიდან არის შემოღებული ბავშვების მონათვლა ეკლესიებში. ჩვენს საქართველოშიაც ძველ დროს ბავშვებს ნათლავდენ ტაძრებში. ეს იქიდამ სჩანს, რომ სანათლებო ემბაზი თვითონ ეკკლესიებში ყოფილა მოწყობილი. ქუთაისის ბაგრატის ტაძარის ჩრდილოეთის მხარეს ეხლაც სჩანს ბავშვების სანათლავი, რომელშიაც მილით გადიოდა წყალი. იტალიაში და ვენაში ჩვენ თვითონ ვნახეთ, რომ ბავშვების მოსანათლავი ემბაზები არიან მოწყობილნი ტაძარებში. ამ ემბაზებს წყლის გასაშვები აქვსთ ძირს და დაცლის შემდეგ ასავსები მილიც იქვეა მოწყობილი. დღევანდელი ქართველები როგორც სხვაში ისე ჩამორჩენილი ვართ ამ შემთხვევაშიაც და ბავშვები თითქმის ყველგან სახლებში ინათლებიან. არავის არ მოუდის აზრათ ეკკლესიაში წაიყვანონ ბავშვები მოსანათლავად. შენიშნა რა ეს გარემოება მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას და მისწერა, რომ მიიღონ ზომები და ხალხი მიაჩვიონ, ძველებურად ბავშვების ეკკლესიაში მონათლას. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი ისე ნაირად მიეჩვია ბავშვების ნათვლას სახლში, ხშირად შეუფერებელ ადგილას, რომ ბევრს კიდეც უკვირსთ ეს განკარგულება და გაოცებულია. დიაღ, გაოცებულია, რადგან, სამწუხაროდ, სამღვდელოების დაუდევნელობით მრავალი რამ კეთილი ჩვეულება და წესები დაავიწყდა ხალხს. კეთილი და სასარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლო წესების მაგიერ მრავალი სამარცხვინო და მავნებელი ჩვეულებანი დაიარსა და დღემდის მტკიცედ ასრულებს. ასეთ მავნე და სამარცხვინო ჩვეულებას ეკუთვნის იმერული თვალთმაქციური გამოტირილიც. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ ჩვეულების გავრცელებაში ⁄ განმტკიცებაში დიდი ბრალი ადევს თვით სამღვდელოებას, თორემ ეს მავნე ჩვეულება დიდი-ხნიდან მოსპობილი იქნებოდა. ამ დღეებში ვიღაცა „ცნობის ფურცელში“ იწერებოდა ხონიდან: „სამარცხვინო გამოტირილი თუმცა ამას წინეთ შესუსტდა, მაგრამ დღეს ისევე მტკიცედ სრულდება“. რატომ? იმიტომ, რომ ხონის ერთი მოძღვარი ძლიერ შეშფოთებული იყო ამ სამარცხვინო ჩვეულების მოსპობის მიწერილობით ⁄ სრულიად არა თანაუგრძნობდა ეპარქიის მთავრობის განკარგულებას. ეს მოძღვარი თანაგრძნობას უწევდა ზოგიერთ თავადებს, რომელთაც სახელი ქონდათ გაგდებული თავის თვალმაქცური ტირილით და ამით საზოგადოებაში პატივ-ცემული იყვნენ!.. ამისთანა მოწინააღმდეგენი სამწყსოში და მწყემსებშიც, დარწმუნებული ვართ, აღმოჩნდებიან ეკლესიაში ბავშვების მონათვლის შესახებაც. ზოგიერთი იმის დამტკიცებასაც დაიწყებს, რომ „თოთო ბავშვის მიყვანა ეკლესიაში არ შეიძლება სანემ დიდი არ შეიქნებაო“. ზოგი, რასაკვირველია, თავის გამოსაჩენად ხალხს გამოესარჩლება, რომ დიდ სიცივეში, შორე ადგილებიდან და სნეულების დროს ბავშვის მიყვანა ეკლესიაზე არ შეიძლებაო და სხვ... ამისთანა შემთხვევაში არავინაც არავის უბრძანებს ბავშვი უთუოდ ეკლესიაში მიიყვანეთო, მაგრამ რა უშლის ზაფხულში ბავშვის მიყვანას ეკლესიაში, როცა ეკლესიაც იქვე არის? ბავშვის მშობლები დიდ მზადებაშია, მრავალი პირი ყავს მოწვეული და იმას ფიქრობს თუ როგორ გაუმასპინძლდეს სტუმრებს და თვით საიდუმლოს შესრულება მის შვილზე სრულებით მისთვის შესანიშნავი არ არის. ზოგიერთი მშობელი სრულებით არ ფიქრობს იმაზედ, რომ მისი მონათლული შვილი რიგიანად ჩააწერინოს მღვდელს საეკლესიო საბუთებში, რომ ბოლოს მეტრიკული მოწმობა მიიღოს შვილის მონათვლაზე. აი ამის გამოა, რომ ხშირად ბავშვი ჩაუწერელი რჩება და კარგი სადილი, გამართული ნათვლაზე, საქმეს არ ეხმარება! ნათლობა ხანდის-ხან ზოგიერთ დედ-მამას დიდ ფასად უჯდება და მეტრიკის მოწმობის მიღებაც არა ცოტა ხარჯს ითხოვს როცა დარჩება დაუწერლად. ყველა ეს ჩვენი ხალხის კეთილ-დღეობას ძირს უთხრის და აღატაკებს. ყოველი მოძღვარი, რომელიც თავის სამწყსოზე ზრუნავს ხალხს გააფრთხილებს ამ შემთხვევაში და მოითხოვს რომ ბავშვები მონათლონ ეკლესიაში და უბრალო ხარჯს ააცდინონ მონათლულის მშობლები.

ზოგიერთები უკულმართად მსმენელნი ეხლავე გაიძახიან; „ეს რა ამბავია, მაშ დღემდის ვინც მონათლულა ისინი ქრისტიანები არ არიან? წინანდელი ეპისკოპოსები განა ვერ მიხვდებოდენ ამას, რომ არაფერი თქმულა ამის შესახებ? რაღა ეხლა შეიქმნა საჭირო ეკლესიაში ბავშვების მონათვლა? ჯერეთ გამოტირილი მოგვაშლევინეს, ახლა ბავშვები ეკლესიაში თუ არ მოინათლა ისე არ შეიძლებაო; სად ვატარო თოთო ბავშვი ეკლესიაში“? და სხვა ამისთანები. აი ამისთანა სიტყვებს გაიგონებთ ხშირად სამწყოსაგან იქ სადაც მოძღვარს არასოდეს არ აუხსნია თავის სამწყოსთვის საიდუმლოები და მათი მნიშვნელობა. ერთი კაცის მისვლა ეკლესიაზედ სადაც შეიძლება დახვდეს ნათლია სამძიმოა ზოგიერთის ფიქრით და მღვდლის, მედავითნის, სტაროსტის ანუ სტოროჟის წაყვანა ემბაზის წასაღებათ ძლიერ ადვილიაო და, სამწუხაროდ მღვდელიც ხშირად თანხმდება, რადგან სადილი ეგულება მზად მოსანათლავის ოჯახში. მთელი კრებული ამ დღეს სადამომდისინ რჩება მოსანათლავის მშობლებთან, რადგან სადილი არ გათავდება სადამომდისინ ⁄ რამდენი ხუმბრობა, რამდენი უბრალო და ხანდისხან ცუდი ლაპარაკი მოყვება ვინ მოსთვლის! განა მოძღვარს აქვს ამდენი თავისუფლება? განა მოძღვარმა მარტო ერთი ბავშვის მონათვლაზე უნდა დაკარგოს მთელი დღე? დაკარგულად არ ჩაიგდება ეს დღე, რომ მოძღვარი ამ დროს არიგებდეს სტუმრებს, ასწავლიდეს მას და ჭეშმარიტ გზას უჩვენებდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სად არის ეს? მთელი დღე გრძელდება ლაპარაკი იმაზე, რომ ღვინომ აწყინა ზოგიერთებს მიტომ, რომ ნაწამლი იყო, ან ვინ უფრო მეტი დალია!.. აი შედეგი საზოგადოდ ჩვენებური ნათლობისა! ვეცადოთ სულით და გულით აღვასრულოთ მღვდელთ-მთავრის წინადადება ჩვენდა და ჩვენ სამწყსოთა სასიკეთოდ და სასარგებლოდ. ცუდ დროში ვცხოვრობთ და მეტი გამჭრიახობა გვმართებს მოძღვართ. ჩვენი ვალია ყველა საიდუმლოების შესრულებას მივაჩვიოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ეკკლესიებში და ჩვენ თავისუფალი დროით ვისარგებლოთ ჩვენდა განსავითარებლად და არა დროს გასატარებლად. აბა უთხარი მრევლს ქორწინება სახლში შეასრულეთო, თუ არ გითხრას ეს როგორ შეიძლებაო. რატომ ამასვე არ ამბობს ბავშვის მონათვლაზე? მიტომ, რომ ჩვენ გადავაჩვიეთ ხალხი ამ კეთილ ჩვეულებას და მეტრიკაში-კი ყალბათ ვსწერთ ბავშვი ეკკლესიაში მოინათლაო. ასევე არ ჩავდივართ გარდაცვალებულთა ჩაწერის შეხებაც?.. მესამე დღეს ვაჩვენებთ გარდაცვალებულთ დამარხულად, როდესაც ერთი კვირა და ხან რვა და ათი დღე შინ სდევს იგი რადგან თვალთმაქცური გამოტირილი ვერ მოუხერხებიათ ადრე!..

დეკ. დ. ღამბაშიძე.

მწარე ფიქრები.

(გაგრძელება *)

ერთი სასწავლებლის მოწაფე მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „რა არის, რომ ჩვენი მასწავლებლები გვიბრძანებენ წირვაზე ვიაროთ ყოველთვის დ „რომელნი ქერუბითას“, „ღირს არსის“ გალობის დროს და „მამაო ჩვენო“-ს თქმის დროს დავიჩოქოთ. მაგრამ თვითონ არც წირვაზე დადიან და არც დაიჩოქებენ? ამას გარდა სასტიკად თხოვილობენ, რომ დიდ მარხვის პირველ კვირიაკეში ვიმარხულოთ და ვეზიაროთ და თვითონ ეკკლესიაშიც-კი არ დადიან?“ პირველად ჩვენ ამ ცნობის-მოყვარე შაგირდს ჩავაგონეთ, რომ მას არა აქვს უფლება თავის მეუფროსეთა და მასწავლებელთა საქციელის განსჯაში შედიოდეს, რომ სახარება ცხადად გვიკრძალავს სხვის განსჯას, „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ (მათეს თავი 7, 24). წაგიკითხავს, შვილო, სახარებაში სადაც არის ნაბრძანები, რომ „არა არს მოწაფე უმფროს მოძღვრისა თვისისა?» მოსწავლე ვალდებულია დაემორჩილოს მოძღვართა თვისთა და არა საჯოს და განკიცხოს იგი. ამ მოსწავლეს ეტყობა, რომ ძლიერ ადრე დაუწყია თავის ამაღლება და განსჯა-მხილება თავის მასწავლებლებისა და უფროსებისა. ბევრი დარიგება მივეცი ამ მოსწავლეს და გაუშვი.

მაგრამ მეორეს მხრით, უნდა სთქვას მართალი კალმა, დიდათ სამწუხაროა ამ განათლებულ მასწავლებელთა საქციელიც. მართალია მოსწავლეთ უნდა არიგებდენ სახარების მცნებისამებრ მშობლები, მორიდებასა და პატივის ცემას უნდა უნერგავდენ თავიანთ შვილთა მასწავლებლებისა და მეუფროსეთადმი, მაგრამ მასწავლებელმაც კი უნდა გაიხსენოს მაცხოვრის სიტყვები, რომელიც ბრძანებს: „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდამო მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუეკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა». ამას გარდა ეს მასწავლებელნი იქცევიან მსოფლიო კრების მეოცე კანონის წინაალმდეგ შესახებ დაჩოქებისა კვირა დღეს, ისეთ დროს, როდესაც იგი აკრძალულია ამ კანონით. ჩვენ ამას ვფიქრობთ არა მასწავლებელთა განსასჯელად, რადგან იგინიც უნებლიეთ ჩადიან ამ შეცდომას. ეს ცოდნა კი მათთვის სავალდებულო უნდა იყოს. უნდა ახსოვდეს ყოველ მასწავლებელს, რომ კეთილ-ზნეობას დ სარწმუნოებას ვერ ჩაუნერგავს მოსწავლეთ მარტო სიტყვის თქმით ათას-გზის რომ გაუმეოროს მათ, თუ თვითონ არ ასრულებს თავის ნათქვამს. აბა როგორ ჩაუნერგავს სარწმუნოებას და კეთილ-ზნეობას მოძღვარი, მასწავლებელი, თუ თვითონ არა სწამს და კეთილად არ იქცევა? განა ჩვენ ყველას არ გვახსოვს ის მასწავლეზელნი, რომელნიც ჩვენთან განუშორებლად იყვნენ წირვა-ლოცვაზე? განა კეთილ მოსაგონარად არ მიგვაჩნია ის მოძღვარნი, რომელთაც ჩვენთვის ბევრი უთქვამსთ, ენით კი არა, არამედ თავის ცხოვრებითა და ყოფა ქცევით? ტყუვილად ეძიებენ მოსწავლეთა შორის ამბოხების და მათი გაზვერავების მიზეზებს; ტყუილად ჰფიქრობენ მიწერილობებით გაასწორონ დღევანდელი მოსწავლე თაობის ზნე და ხასიათი. ყოვლად შეუძლებელია მარტო მიწერილობით გასწორდეს საქმე; არა, აქ უფრო სხვა ზომა არის საჭირო და სხვა საშუალების ხმარება. თქვენ დააკვირდით კარგად ოჯახობის მდგომარეობას და მასწავლებლების ყოფა-ცხოვრებას და ბვრს რასმე საყურადღებოს დაინახავთ იქ. თქვენ ცხადად შენიშნავთ, რომ პირველად ყურადღება უნდა მიექცეს ამ ორ ნიადაგს, რომ სწავლის საქმე კეთილად მიმდინარეობდეს. უნდა გასწორდეს ოჯახის მდგომარეობა, ოჯახში უნდა ჩაინერგოს პირველად სარწმუ-

*) იხ. „მწყემსი“ № 12, 1903 წ.

ნოება, კეთილი ყოფაქცევა და ქრისტიანული ზნეობა. მაგრამ დღეს არსებობს ჩვენს ოჯახში ესეები? სრულებით არა. მოხდა სასწაულება, ოჯახში მიიღო ბავშმა კეთილი აღზრდა და მიმართულება. მეშვიდე ან მერვე წლის ბავშვი უნდა მისცეთ სასწაელებელში. აქ სულ სხვა პირობებშია იგი. თუ კეთილად აღზრდილია შენი შვილი, სამ წელს იქით სრულებით ველარ იცნობ მას. „განათლებას“ სულ სხვა გზაზე დაუყენებია, სხვა მიმართულება ჩაუნერგავს მისთვის. რამდენი მშობელი იძახის დღეს ნეტავი სრულებით არ მიმეცა შვილი სასწავლებელში, იქნება კეთილი მუშა მაინც გამოვიდოდა და ერთი საზარალო წევრი საზოგადოებას მოაკლდებოდაო. მაგრამ გვიანღა!.. იქნება იფიქროს ვინმემ რომ სწავლის წინააღმდეგი ვიყოთ. სრულებით არა, სწავლა დაუფასებელია, მაგრამ სწავლა მოკლებული სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობას საზოგადოებისათვის დამღუპველია. ეშმაკებმა ყველაზე მეტი იციან, მაგრამ მათგან სასარგებლო არასოდეს არა გაკეთებულა რა...

სოფლის ხუცესი.

იმპერატორის ნიკოლოზ -I მოგზაურობა საქართველოში.

გაგრძელება*)

მოვისურვე ჩემის ხელით ჩამეგდო პირველი ქვა საძირკველად ეკკლესიისა, რომელიც აშენებული იქნება წმ. მოწამის დედოფლის ალექსანდრას სახელზე, ხოლო გუმბრს დავარქვით ალექსანდროპოლი.

აქ ოსმალოს საზღვრებზე ყველაზე უფრო დაახლოვებულ, ჩვენ ციხეში გამომეცხადა აზრუმის სერასკირი მაჰმად-ასედ-ფაშა, სულთანის მიერ წარმოგზავნილი ჩემს მოსასალმებლად და მოსართმევად საჩუქრის, რომელიც ცხენებისა, შალებისა და იარაღებისგან შესდგებოდა. ფაშამ მითხრა, რომ ჩემმა მბრძანებელმა ამომირჩია, როგორც ოსმალურ მოსაზღვრე მხრის უფროსი, და დამავალა თქვენთვის მოკითხვა მომეხსენებია, საჩუქარი მომერთმია და მზად ვყოფილიყავ თქვენი ბრძანება მომესმინაო. სოფელს მარტელში ჩვენ გადავედით სომხების ოლქში მოდიოდნენ სომხის ბეგები, მელიქები და ქურთების თავი კაცები, რომელნიც გამომყვნენ სარდარ-აბადამდე, სადაც ღამე გავათიეთ. აქ მხარე თან-და-თან უფრო მშვენიერდება. არარატი სრულის თავისს სიდიადით მოსჩანს სურათის უკანა პლანზე და კაცს უნებლიედ იტაცებს ფიქრი მხცოვან ძველ დროისაკენ.

როცა დავეშვი ხეობაში, დავინახე ჩემ წინ საომრად ჩამწკრივებული შეუდარებელი ცხენოსანი ჯარი კენგერდისა, ერთნაირ ტანისამოსით გამოწყობილი და საუცხოვო ცხენებზე მჯდომი. იმის წინამძღოლმა ესხან-ხანმა ცხენი გამოაქანა ჩემკენ და რუსულად მირაპორტა, ვითარცა ჩვენის რეგულიარის მხედრობის აფიცერმა. ამ ამალით მივედი სახელგანთქმულ ეჩმიაძინის მონასტერში, სადაც მომეგება ცხენზე მჯდარი სომხების პატრიარქი იოანესსი. პატრიარქი ცხენიდან ჩამოხტა, სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ ისევ შეჯდა ცხენზე ⁄ ჩვენ ერთად განვაგრძეთ სვლა იმის ძველ სავანის კედლებისაკენ, რომელიც სომხების ეროვნობის და სარწმუნოების კაპიტოლიას შეადგენს. ეპისკოპოსები და არხიმანდრიტები, ცხენზე მჯდომნი, რალაც უცნაურს და თითქო სათეატრო სახეს აძლევდა ჩვენ სვლას; პატრიარქის ცხენი ორს შათირს ანუ პაიკს ლაგამში ხელ ჩაკიდებული მიჰყავდათ, ხოლო მას უკან მოსდევდა 50 კაცი, — რომელნიც შეადგენდნენ მის საპატიო დარაჯს, სანახევროდ ბერის სამოსლით გამოწყობილნი, — და ორი სასულიერო პირი, — ერთი კვერთხით და მეორე დროშით, რაც მოასწავებდა, რომ პატრიარქის პიროვნებაში შეერთებულია სასულიერო, საერო და სამხედრო უფლებაც. დასასრულ, ყველაზე წინ მოჰყავდათ მარქაფად ძვირფას ასლებით ჯოგის ცხენი, როცა ჩვენ ამ პროცესით ეჩმიაძინის ზღუდეს მივადექით, მონასტრისა და იმის ეკკლესიების ყველა ზარების რეკა შეუერთდა სასულიერო მწუხრის გალობას და ხალხის გრიალს, რომელიც ყოველ მხრიდან მოსულიყო. მონასტრის გალავნის წინ იდგნენ ბერები და ორი ეპისკოპოსი არქიერის სრულ სამოსლით; ერთმა მათგანმა სამთხვევად გამომიწოდა სასწაულთ მომქმედი ხატი, ხოლო მეორემ მომართვა პურ-მარილი. პატრიარქი ჩრდილოეთის ალაყაფის კარებიდან განმშორდა და შევიდა სამხრეთის შესავლიდან ჩემდა მისაღებად ტრაპეზის წინ სრულის თავისის საპატრიარქო სა-

*] იხ. „მწყემსი“ № 12, 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსელში და ხელში ჯვრით და თავის ხარისხის სრულის ბრწყინვალებით. აქ იოანესმა წარმოსთქვა მეორე შესხმითი სიტყვა, რის შემდეგ ძველს ტაძარში გაისმა მეფის მისაღები მწუხრის გალობა, რომელიც აქ შვიდის საუკუნის განმავლობაში არ გაგვიგონია. ვემთხვიე ნაწილებს, რომელნიც ამ ტაძარში ათას წელზედ მეტს ხანს განისვენებენ, და ისევ იმავე დიდძალი ამალით დავიარე სამოსელთსაცავი, ანუ სალარო, სინოდის პალატა, სემინარია, სტამბა და ბერების სალარო ოთახი. შემდეგ ამისა შეველ პატრიარქთან, რომელმაც დამლოცა და, მოიწვია რა ღვთისკურთხევა ჩემზე და ჩემ შთამავლობაზე, საჩუქრად მომართვა ცხოველმყოფელის ჯვარის ნაწილი.

შემდეგ გამოსვლისა ტაძრიდან, რომელმაც თავისს სიმდიდრით, ცოტა არ იყოს, ვერ გაამართლა ჩემი მოლოდინი,—დავათვალიერე კენგერის ცხენოსანი ჯარი, რომელიც ჩვენ ერევნამდე გამოგყვა. აქ, შემდეგ ლოცვის მოსმენისა ტაძარში, შეველ ჩემთვის დამზადებულ სახლში და მოხარულიც ვიყავი, რომ დასვენებაც შემეძლო.

2 ოქტომბერს მივიღე სპარსეთის ტახტის მეკვიდრე ვილიატი, შვიდის წლის ყმაწვილი, რომელსაც შაჰის ელჩი ახლდა. მე მუხლებზე დავისვი დიდად ლამაზი ბავშვი და მივმართე ელჩს ფრიად მკვახედ. აუხსენი, რომ ყოველი მის მიერ წარმოთქმული დარწმუნება მშვენიერი ლიტონი სიტყვაა, ხოლო მე მაგ სიტყვებს ვერ დაუჯერებ, სანამ სპარსეთი, არამც თუ აქეზებს ჩვენ ჯარისკაცებს იქ გაპარვისათვის, არამედ მათგან ცალკე რაზმებსაც ადგენს-მეთქი, მე დავსძინე, რომ მოვითხოვ დაუყონებლივ დაგვიბრუნონ ჩვენგან გარდახვეწილნი ჯარის-კაცები და თუ ეს ასე არ მოხდა, მე ჩავთვლი სპარსეთს ჩვენდამი მტრულად მომქცევ სახელმწიფოდ-მეთქი. დასასრულ ვუთხარი, რომ ჩემის მხრით მე სასტიკად ვასრულებ ყოველ ტრაქტატებს და იმასაც მოვახერხებ, რომ შაჰმაც მტკიცედ შეასრულოს. თუმცა ეს ასე მოხდა, ჩვენ მაინც ერთმანეთს გამოვესალმენით, ვითარცა კეთილი მეგობრები და მან შაჰის სახელით მომართვა: მშვენიერი ცხენები, მარგალიტები და ბევრი შალები.

იმ დღეს ჩუხლში გავათიე ღამე, 7-ს კოდაში, ხოლო 8 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე დიდის ამბით და ზეიმით შეველით ტფილისში, სადაც ზარბაზნების სროლამ და ზარების რეკამ აუწყა მკვიდრთ ჩვენი მისვლა; ქუჩები და მიწურ სახლების სახურავები აუარებელის ხალხით იყო სავსე ხოლო ნაირ-ნაირი იქაური მდიდრული ტანისამოსი მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა. რომ საკმაოდ დაგიხატოთ, თუ რა გულ-მხურვალედ მიმიღეს, უნდა შევადარო ეს მიღება იმ დახვედრას, რომელსაც აქ, მოსკოვში ვარ ჩვეული და სწორედ გასაოცარია, რომ ხალხის ერთგულობის გრძნობა მონარქისადმი ვერ გააქრო იმ საძაგელმა მართებლობამ, რომელიც, უნთა გამოვტყდე, ჩემდა სამარცხვინოდ, ამდენი ხანია ამ ქვეყანას აწევს კისრად.

ტფილისი დიდი ქ მშვენიერი ქალაქია. თუმცა შუაგულ ქალაქს უფრო აზიის ელფერი ადევს, მაგრამ გარეთ უბანი ჩვენ გემოვნებაზეა გაშენებული და ბევრი აქაური სახლი ნევის პროსპექტსაც არ დააუშნოებდა.

9 ოქტომბერს, დილას, შემდეგ ლოცვისა მიძინების ტაძარში, სადაც აუარებელი ხალხი იყო,—ღავესწარი ერევნის კარაბინერთა პოლკის აღლუმს. შუა დღეს მივიღე ხანები და მთიულების სხვა-დასხვა ტომი საპატიო კაცნი, რომელნიც ჩემ ჩამოსვლაზე შეკრებილიყვნენ ტფილისში, და შემდეგ დავათვალიერე საკორპუსო შტაბი, საავადმყოფო, არსენალი, კავკასიის საპიოტრთა ბატალიონის ყაზარმები, მასთანვე მოწყობილი სასწავლებელი ქართველ ახალგაზდა თავად-აზნაურებისა ქ საფყრობილე. ყოველივე ჩინებულად იყო მოწყობილი.

10 ოქტომბერს წირვა მოვისმინე წმ. გიორგის ეკკლესიაში; დავათვალიერე ტფილისის მეციხოვნე ჯარი და მომეწონა, მეტადრე არტილლერია.

11 ოქტომბერს, ჯარისა, სამხედრო ქსენონისა, კომისსარიატის დეპოსა და აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის დახედვის შემდეგ, მივიღე ქართველი თავად აზნაურობა, რომელიც ჩემს „კონვოის“ შეადგენდა და ახლა ჩემ ოთახს სდარაჯობდა; ისინი წარმოსდგნენ მშვენიერს ცხენებზე და უძვირფასეს ტანისამოსში მორთულნი და ჩემს წინაშე ურთიერთ შორის ქიშპობდნენ, ვინ ვის ვაჯობებთ ცხენის ჭენებაში და იარაღის დახელოვნებით ხმარებაშიო. ერთი მეორეზე მარჯვე იყო და მათ შორის ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომელნიც ჩვენს ქალებს გააგიჟებდნენ.

საღამოს დავესწარი რიცხვ-მრავალ ბალზე. ქალები უფროს-ერთნი მორთულნი იყვნენ თავისს

ეროვნულ ტანისამოსით, რომელიც ტანადობას ჰფარავს და არც ისე შნოიანი არის, ხოლო ბევრი მათგანი სწორედ რომ მომხიბლავის მშვენიერებით ბრწყინავდა, მაგრამ ეგევე არ ითქმის ზოგიერთის მათგანის გონიერებაზე.

საზოგადოდ უნდა აღვიარო, რომ საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი საქართველოს დათვალიერებით. გზების მდგომარეობა და გუმბრის ციხე როზენის მზრუნველობას გვიმტკიცებს, ხოლო ადმინისტრაციაში სუფევს სხვა-და-სხვა უწესოება, ისრე მაგრად ფესვ-მოკიდებულია, რომ ვერც-კი წარმოიდგენ ადამიანი. სენატორმა ჰანმა რამდენიმე თვეს ამ ქვეყანაში რევიზია დაიწყო და აღმოაჩინა მრავალი საშინელი ბოროტება, რომელიც ბარონ როზენის დანიშვნამდე გაჩენილა და რომელსაც უკიდურესობამდე უნდა აეღელვებინა იქაურნი მკვიდრნი, რაც უნდა შეჩვეულნი ყოფილიყვნენ ბრმა მორჩილებას. საითაც არ გაიხედავ, ყველგან საშინელი თვითნებობა სუფევს. ჯარის უფროსნიც-კი ისეთ ბოროტ-მოქმედებას კადრულობენ, რომ არც-კი გაგონილა.

მაგალითად, თავადი დადიანი, ბარონ როზენის სიძე და ჩემი ფლიგელ-ადიუტანტი, რომელიც ტფილისის მახლობლად—16 ვერსზეა დაშორებული,—პოლკს უფროსობდა, გამორეკდა თურმე სალდათებს, ნამეტურ რეკრუტებს ტყის საჭრელად და თივის მოსათიბავად, ისიც ხან-და-ხან კერძო მებატონეთა მამულში, და შემდეგ ამ ნადავლს ასაღებდა თვითონვე ტფილისში, მთავრობის თვალწინ. ამას გარდა, სალდათების ცოლებს თავისათვის ამუშავებდა და სალდათებს, ყაზარმების მაგიერ წისქვილი ააშენებია; ხოლო დიდძალ ფულში, რომელიც ყაზარმების ასაშენებლად იყო დანიშნული, არავითარი წილი არ დაუდო უბრალო ჯარის-კაცებს. დასასრულ, ამ თავგასულმა 200 რეკრუტი, რომელიც სამხედრო სამსახურისათვის გასაწვრთნელად ჩააბარეს, ფეხშიშველი და ჩაუცმელი ცხვრების, ხარების და აქლემების მწყემსად დააყენა. ეს სწორედ ნამეტანი იყო და, ამის გაგონებისათანავე, ვაფრინე ჩემი ფლიგელ-ადიუტანტი ვასილჩიკოვი საქმის გამოსაძიებლად. ყველაფერი გამოაშკარავდა სწორედ ისე, როგორც გაგონილი მქონდა. ამისთანა სისაძაგლის ჩადენის შემდეგ, მკაცრად მოპყრობის მაგალითის ჩვენება საჭირო იყო. აღლუმის დროს კომენდანტს უბრძანე ვექსილბანტებისა და ჩემის შიფრის ჩამოგლეჯა თავად დადიანისათვის, ვითარცა ისრეთის კაცისათვის, რომელიც ღირსი აღარ იყო ჩემ ფლიგელ-ადიუტანტად დარჩენილიყო. თავადი დადიანი იქვე მოედნიდან ბობრუისკის ციხეში გავისტუმრე, რათა დაუყონებლივ სამართალში მიეცათ სამხედრო წესისამებრ. ვერ აგიწერთ, თუ რა მძიმე იყო ჩემთვის ამგვარი სიმკაცრის ჩადენა და რამდენად შემაწუხა ამ უსიამოვნებამ. თავს ვინუგეშებდი მით, რომ ჩემი წმინდა მოვალეობა ავასრულე და ყველაზე მეტად დამნაშავეს, საკუთარს ჩემს ფლიგელ-ადიუტანტს თავზარი დავეცი, და ამ მსხვერპლით დავიხსენი სხვა პოლკის კომანდირები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ამნაირივე ბოროტ-მოქმედებას ჩადიოდნენ.

რომის პაპი ლეონ მეცამეტე.

საერო და სასულიერო ჟურნალ-გაზეთები ამ ცოტა ხანში ნიადაგ აცხადებდენ ტელეგრამებით რომის პაპის ოთხმოც-და-ცამეტი წლის მოხუცის ჯანმრთელობის ამბავს. მისი სამწყსო, რომელიც მთელს დედა მიწაზე სცხოვრებს დღეს, რიცხვით ორას სამოც მილიონამდე, განაბულის სულით ელოდა შეეტყო მისი ჯანმრთელობის ამბავი. ღრმა მოხუცებულ სულიერ მამის მორჩენას იგინი არ მოელოდენ, მაგრამ მაინც ევედრებოდენ უფალს, რომ რამდენიმე დრო კიდევ ეცოცხლა. თვითონ პაპიმ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იგი მიდის განსასვენებლ ადგილს და როგორც შეშვენოდა მოემზადა, ეზიარა და ზეთის კურთხევა შეასრულებინა. სულ უკანასკნელად კარდინალმა რამპოლამ მოახსენა, რომ მის სნეულებას და მისგან დაობლებას სწუხრან, არა მარტო მისი სულიერნი შვილნი, 260 მილიონი, არამედ თითქმის სხვა მორწმუნენიცაო. ჭეშმარიტად მართალი უთხრა ეს კარდინალმა რამპოლამ. განსაკუთრებითი რომის ტელეგრაფის ბიურო ვეღარ აუვიდა დეპეშების მიღებას ყოველი დედა მიწის კუთხიდან. ამ დეპეშებში ერთ ნაირად იწერებიან მწუხარებას პაპის უიმედო მდგომარეობის გამო. აუარებელი სიმდიდრე და ქონება პაპისა ნაანდერძევი იქნება მისი მოადგილესათვის, რომ მან მოახმაროს ქრისტიანობის გავრცელებას მთელს დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწაზე. სულ მალე იქნება არჩეული ახალი პაპი, რომელსაც საზოგადოება იცნობს საიმედო მამად და უფროს გამგეთ ფრანგთა სარწმუნოების სამწყსოისა. სასულიერო წარმომადგენლები უკვე მისულნი არიან რომში, რომ მონაწილეობა მიიღონ პაპის არჩევაში, და ვინც ვერ დაესწრება, ხმას მაინც მისცემს შორიდამ. ყოველი ხმის მქონე იმას ფიქრობს, რომ აღირჩიოს ერთგული მოსამსახურე ღვთისა და თავგამეტებული ერთგული მოსამსახურე თავის ქვეყნიერის სამწყსოსათვის. ამ ქვეყნიერების ძალასა და დიდებას იოტის ოდენა გავლენა არ აქვს ამომრჩევლებზე. ამით აიხსნება ის დიდი უფლება, რომელიც ყოველ პაპის აქვს მინიჭებული. ამბობენ პაპის ჩამოერთვა საერო უფლებაო. უნდა ვსთქვათ, რომ იგი დღესაც ძლიერი არის სასულიერო გამგეობაში, ღვთის გარდა არავის არ ემორჩილება და სასულიერო საქმეების მმართვა-გამგეობაში მხოლოდ თვითმპყრობელი და თავისუფალი მომქმედი არის...

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამას წინად გექტოგრაფით დაწერილი წერილები გავრცელდა პეტერბურღში, რომელ წერილებშიაც შეურაცხებითი სიტყვები იყო დაწერილი სერაფიმი საროვსკის ცხოვრების შესახებ ; რომლის გვამი დიდის ამბით უნდა იქმნეს ამოღებული საფლავიდან და ძვირფას ლუსკუმაში ჩასვენებული, და დასვენებული ტაძარში 19 ამა ივლისს. ამ წერილების შესახებ „новое время—ში“ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ წერილს მონაწერს მიტროპოლიტის ანტონისაგან:

„ამ სამი კვირის წინად პეტერბურგში ძლიერ გავრცელდა გექტოგრაფით დაბეჭდილი ფურცლები, რომელიღაც ,,მართლმადიდებელ ეკკლესიასთან მებრძოლ კავშირისა“, რომელიც მავნებელია რუსეთის ხალხის კეთილდღეობისათვის. ამასთანავე აღნიშნულია, რომ „კავშირი თავის წმინდა და ჭეშმარიტ მოვალეობად სთვლის მიიღოს შრომა თავის თავზედ და ჩააგონოს რუსეთის ხალხს, რომ სერაფიმ საროვსკის წმ. ნაწილები არ დარჩება, თუ საჭიროება მოითხოვს, კუბოში გაუჭრელი და გამოუკვლეველი“.

„არ ვიცი, არსებობს თუ არა ამნაირი მართლმადიდებლობასთან მებრძოლი კავშირი; ეს ფურცლები-კი გონივრული მეცადინეობის ნაყოფია, რომელიმე არეულობის მოყვარულ ვაჟბატონისა; ფურცლები იმდენად ძლიერ გავრცელდა, რომ თავისდა უნებურად აალაპარაკა მთელი პეტერბურგის საზოგადოება და შესაძლებელია პროვინცია და მივარდნილი ყრუ ადგილიც, თუ-კი იქაც გაავრცელეს ამნაირი უკეთილმართი ფურცლები. ამ ფურცლებში რომ მხოლოდ „კავშირის“ დაარსება ყოფილიყო გამოქვეყნებული, მის შესახებ ლაპარაკიც-კი არა ჰღირდა. დამტკიცება იმისი, რომ მართლმადიდებლობა რუსეთის ხალხის კეთილდღეობისათვის მავნებელია, როგორც ამას კავშირი ამბობს, ნიშნავს სრულს ბრიყვობა-გაუზრდელობასა და რუსეთის ისტორიის სრულებით გაუგებლობას. ამ ფურცლებში რიხით ეხებიან წმიდა სერაფიმ ბერის საქმეებს, არა სასიამოვნოდ იხსენიებენ მას და მისს წმიდა კუბოს ნიშნს უგებენ, და ყველა ამას „თავის წმინდა და ჭეშმარიტ მოვალეობად სთვლიან“, თითქოს აქ ვინმეს ჭეშმარიტება შეებღალოს! როგორც უფალმა არ განასამართლა ურწმუნო თომა თავისი ურწმუნოებისათვის, არც მე შეუდგები მათ რიხიანობის განსამართლებას. სერაფიმ ბერის შესახებ მორწმუნე და განათლებულ ხალხშიაც-კი დადის ბუნდოვანი ხმები და საკითხს: „რა არის კუბოში?“, ეჭვის თვალით უცქერიან. ამ უაზრო ეჭვის აღსნა-განმარტებას არ შეუდგები; ვუპასუხებ მხოლოდ პირდაპირ ამ საკითხს

—„რა არის კუბოში?“ კუბოში ნათლად აღმოჩნდა განსვენებულ ბერის ტანისამოსის ნაწილები. სხეული გახრწნილა, ხოლო ძვლები, თმა და წვერები სრულიად უვნებლად შენახულია. ასეთია კუბოს მდგომარეობა...

„პროფესორი ე. გოლუბინსკი სამართლიანად ამბობს: „არიან ჩვენში ადამიანები, რომელნიც ღმერთსაც-კი ეჭვის თვალით უცქერიანო, მაგრამ ჭკუა-გონებით-კი არ მოსდით ეს; ესენი ამტკიცებენ, ვითომც წმიდა ნაწილები, თუ ნამდვილად წმიდაა, ყოველთვის გაუხრწნელი უნდა იყოსო, ე. ი. სრულიად მთელი, ხელშეუხებელი ; სხეულს ერთი ბეწვა ზიანიც-კი არ უნდა ჰქონდესო.“ ამ ნაირი მტკიცება უაზროა და ძირითადად ეწინააღმდეგება საეკლესიო მცნებას, რომლითაც გაუხრწნელი ნაწილები სრულებითაც არ ითვლება საზოგადო და უთუო ნიშნად წმიდა სათნოთა სადიდებელად...

„წმიდათა წმიდანობის დასამტკიცებლად ისინი ან თვით ახდენენ საკვირველებას კუბოში და ან მათი ნაწილები, სულ ერთია, მთელი სხეული იქნება ის თუ მხოლოდ ძვლები. როდესაც წმ. ნაწილები გაუხრწნელია, ეს საკვირველების მოხდენაა, მაგრამ დამატება იმ საკვირველებასთან, რომელიც მათი შემწეობით ხდება ხოლმე (იხ ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა „Церковныя Вѣдом.“-ში №12 1903 წ. ამ სათაურით: „უხრწნელი წმ. ნაწილები“). სერაფიმე ბერის წმიდანობა მისი ნეშთის თვისებაში-კი არ გამოიხატება, არამედ მისდამი ხალხის რწმენაში და ამის მიერ მოხდენილი მრავალ საკვირველ მოქმედებაში, რომელნიც, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ყოველსავე ეჭვს გარეშეა და ყოვლად სარწმუნო...

„წმიდა კაცისათვის ყოველივე წმიდაა და საკვირველ მომქმედი, თითქმის აჩრდილიცა და ტანისამოსიც-კი, და არა მხოლოდ სხეული ანუ ძვლები მაგალითად: აჩრდილი პეტრე მოციქულისა და თავსაკრავი პავლე მოციქულისა ავადმყოფთ ჰკურნავდა; ელისე წინასწარმეტყველის ძვლების შეხებით მკვდარი აღსდგა; წმიდა კაცის ფეხით შედგომით უსულო გვამი მთელს ძალ-ღონეს იკრებდა... წმიდა სერაფიმეს სხეულის ნეშთი ძვლებითურთ მორწმუნეთათვის უძვირფასესი წმიდათა-წმიდაა, ჭეშმარიტი საუნჯეა, რომლის მეოხებითაც მათ არ მოაკლდებათ მისი განმაკურნებელი შველა.

„ამ გვარად, სერაფიმე ბერისა კუბოში დარჩა მხოლოდ ძვლები, სხეულის ჩონჩხი, მაგრამ როგორც ღვთის სათნო ადამიანის, წმიდა კაცის ნეშთი, ისინი ითვლებიან წმიდა ნაწილებად და აწ დიდის ამბითა და კურთხევით გარდატანილი იქმნება მიწის გულიდგან მოწიწებითა და პატივისცემით მლოცველთა ლ დამსწრეთაგან და მიწას მიბარებულ მისს, ღირსის სერაფიმე ბერის სამლოცველოში.

* * *

„პეტერბურგის უწყებებში“ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წიგნია გარჩეული: როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასის სახალხო სკოლა“. მოგვყავს სავსებით პატივცემული გაზეთის აზრი ზემო დასახელებულ წიგნის შესახებ:

„ცნობილი ქართველი პედაგოგი ი. ს. გოგებაშვილი თავის წიგნში: როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის სახალხო სკოლა, ასახელებს შემდეგ მავნე მხარეებს პირველ დაწყებით განათლებისას კავკასიაში:

ერთი უმთავრესი მიზეზი კავკასიის სახალხო სკოლის უნაყოფობისა არის დედაენის განდევნა სკოლიდან. ბავშვის გონებრივ ძალთა გაღვიძება მისი აზროვნებითი, ნიჭისა და გამჭრიახობის განვითარება, რა თქმა უნდა, თავის თავად ბედნიერებაა და სიკეთეა, მაგრამ ამავე დროს ერთი უსაჭიროესი პირობაა საგნების სწავლებისა სკოლაში. ეს გამოფხიზლება და განვითარება ბავშვისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირველ დაწყებით სკოლაში ბავშვს ესმის საგნების სწავლა და განმარტება მშობლიურ ენაზედ. არსად და არასოდეს სკოლას თავის განმანათლებელი მიზნისთვის არ მიუღწევია, როცა სცდილა ხალხი გაენათლებია უცხო და გაუგებარ ენის საშუალებით. პირიქით, სკოლა მაშინაა წარმატებაში, როცა ბავშვებს ესმის მშობლიური სიტყვა, მშობლიური ენა. ამიტომ სრულიად მართალი იყო ნეველროვი როცა წარმოსთქვა: „არ არსებობს განათლება, თუ დედა ენა კარგად არ იცი, რომელიც იარაღია აზრის გამოსახატავად“. ეს დიდად განათლებული პედაგოგი ამ აზრის იყო არა მარტო თეორეტიულად, არამედ მუდამ სცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებია თავის შეხედულება სწავლების შესახებ.

მეორე მიზეზი ის, რომ დედა ენაზედ წერა-კითხვა—არა სავალდებულო საგანს შეადგენს. დედა ენაზედ წერა-კითხვა არა მარტო არსებითი საჭიროებაა მცხოვრებთათვის, ამავე დროს ხელსაც უწყობს რუსულ წერა-კითხვის შეთვისებას. როცა მშობლიურ წერა-კითხვის სწავლებას წინ უსწრებს რუსულ წერა-კითხვის სწავლებას, მაშინ რუსულ ენას უფრო ჩქარა, უფრო კარგად ითვისებენ ბავშვები. საქართველოში, მაგალითად, იშვიათად შეხვდებით ქართულის წერ-კითხვის მცოდნემ რუსულიც არ იცოდეს, ქართულ წიგნებიდან ბავშვები სრულიად ბუნებრივად გადადიან რუსულზედ. დედა ენის ცოდნა ცოდნა ის საფუძველია, რომელზედაც შენდება შემდეგში რუსული ენის შესწავლის მკვიდრი ნიადაგი. როცა ეს ასე არ ხდება, რუსული ენის შესწავლას არავითარი ნიადაგი არ ექნება და, როგორც ბ-ნი უშინსკი წინისწარმეტყველებს, რუსული ენა ითქვიფება და იღუპება უცხო ხალხთა სოფლებში. ამ გაქრობას რუსულის ენისას უცხო სოფლებში ძლიერ ხელს უწყობს ერთი გარემოება. რუსულ ენის წარმატება იმაზედაცაა დამოკიდებული, თუ მშობლები

როგორ უყურებენ რუსულ ენას. ეს დამოკიდებულება კი იმაზეა დამყარებული, თუ რამდენად პატივსა სცემენ სამშობლო ენას და რა ადგილი უჭირავს მას სკოლაში. ბუნებრივია, კანონიერი გრძნობაა, როცა მცხოვრებთ უყვართ თავისი ენა, უიმისოდ მას ცხოვრება არ შეუძლიან, მისი სულიერი ბუნებრივი და ქონებრივი განვითარება ამ ენაზეა დამყარებული. ამავე დროს ხალხი სცდილობს შეითვისოს და შეისწავლოს სახელმწიფო ენა. მშობლიური ენა აყვარებს ხალხს სახელმწიფო ენასაც. როცა სკოლიდგან ადგილობრივი ენა განდევნილია, ამას აშკარად გრძნობს და ამჩნევს ხალხი და ძალაუნებურად მტრულის თვალით უყურებს სახელმწიფო ენას, რაიც ხელს უშლის და აფერხებს სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში".

ვილაც ოტიას.

იტყვის მაცხოვარი: „მაგინებელთა თქვენთა აკურთხევდით და მწყევართა თქვენთა ულოცევდით".

რა მეთქმის მოწაფესა მისსა ნაცვალი მოგებად შენდამი, ძმაო, ოტია, თუ არა ესე: „ღმერთმან გაკურთხოს, შეგინდოს და მოგიტევნეს შენი სიცრუვის ცილის წამებანი, რომელნიც გაზეთ „კვალში" დაბეჭდეთ ჩემ შესახებ, და რომლითაც პირადი ჩემი საუკუნო ღირსება დააჯილდოვე მეცხრე ნეტარების სიტყვით: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის"... რაც შეეხება სარწმუნოების მხრივ საზოგადოების დაბრკოლებას, უმჯობეს იყო შენდა, ვითარცა მოწმობს სახარება, ქვა კიდებული ზღვაში ჩავარდნილიყავი.

ალექსი ბერი.

22 ივნისი 1903 წ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

** მ. იოანე კრონშტადტელს მიუღია შარშან 600 ათასი მანეთი შეწირულება საქველ-მოქმედო საქმეთათვის. ყოველ-წლივ თურმე იღებს მამა იოანე 600—800 ათას მანეთს შეწირულებას.

** „ივერია"-ში ვკითხულობთ შემდეგს. „სასულიერო მთავრობას განუზრახავს სამოსწავლო ოლქები დააარსოს რუსეთში და კავკასიაშიც. თუმცა ეხლა სამოსწავლო ოლქის მეთვალყურეს თანამდებობა არსებობს ჩვენში, მაგრამ ეს თანამდებობა მხოლოდ უწმინდესის სინოდის დადგენილებით არის თურმე შემოღებული და, როგორც გადმოგვცეს, არა უმაღლესის ბრძანებით. განზრახული ოლქები-კი შესაძლოა მხოლოდ უმაღლესის ბრძანებით დაარსდეს. ოლქს განსაკუთრებული საბჭო განაგებს, ეპარქიის მღვდელ-მთავრის თავმჯდომარეობით. წევრებად იქმნებიან ეპისკოპოსები, სემენარიის რექტორები, სამოსწავლო ოლქის მეთვალყურე, გუბერნატორი და სხვა მაღალ დაწესებულებათა უფროსნი. ფრიად საჭიროა პროექტი ამ ახალ ოლქების დაარსებისა წინადვე გამოქვეყნდეს და მწერლობამ თავისი მსჯელობა გამოსთქვას. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ამ საოლქო საბჭოებში მონაწილეობას იღებდნენ გუბერნიისა და მაზრების მარშლები და ადგილობრივის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებისა და მოთხოვნილების მცოდნენი."

ახირებულ სურვილს იჩენს „ივერია"! განა მართებლობა მისცემს ნებას, რომ საზოგადოებისაგან არჩეული პირებიც შეუერთდენ ამ საბჭოში მოსამსახურეთა?!... რატომ არა სურს „ივერიას", რომ მომრიგებელი შუამავლებიც იყვნენ ამ საბჭოში... მაშინ ხომ საქმე უკეთესად წავიდოდა?..

** „ოსერვატორე რომანო" ოფიციალურად იუწყება, რომ გუშინ კარდინალმა რამპოლამ პაპს ზოგიერთი ისეთი რწმუნება მოსთხოვა, რომელიც პაპის განსაკუთრებულ უფლებას შეადგენს; პაპი დასთანხმდა. მერე რამპოლამ მოახსენა პაპს, რომ მთელი ქვეყნიერება და ბევრი არა-კათოლიკე სარწმუნოებისაც გულმტკივნეულობას გიცხადებენო. პაპმა სიხარულით მოისმინა ეს და კარდინალს ახალი საერო და საპოლიტიკო ამბები ჰკითხა. რამპოლამ მოკლედ უამბო. პაპმა ყურადღებით მოისმინა მოხსენება.

** „ცნობის ფურცელ"-ში ვკითხულობთ: ტფილისისა, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების სახელმწიფო ადგილებში რუსეთიდან გადმოსულთა დასახლებას აპირებენ. ამ ადგილების დასათვალიე-

რებელად განსაკუთრებულ მოხელესა ჰგზავნიან. გუბერნატორმა ბრძანება გაუგზავნა მაზრის უფროსებს, რომ ყოველ-გვარი დახმარება გაუწიონ ამ მოხელეს. ამ ამბავის კითხვის დროს უნებლიედ მაგონდება «დიდების ტაძრის» ერთი წარწერა...

*** შარშან ნობელის ნავთის მრეწველ საზოგადოებას წმინდა მოგება ჰქონია 2,157,929 მ. 30 კაპ. აქედან აქციის პატრონებს დაურიგდებათ 1,541,747 მ. 92 კაპ., საბჭოს წევრებს, დირექტორებსა და სხვა მსხვილ მოსამსახურეებს—227,831 მ. 95 კაპ.; წვრილ მოსამსახურეებს მხოლდ —88,726 მან. 38 კაპ.

*** ამას წინად ყუბანის ოლქში კიევისა და სხვა გუბერნიების გლეხებს საგლეხო ბანკის დახმარებით შეუძენიათ 10,459 დესეტინა საუკეთესო ადგილი, ღირებული 1,078,000 მანეთად. საგლეხო ბანკს მიუცია 875,000 მანეთი. მყიდველთა შორის კიევის გუბერნიიდან 700 ოჯახია. დანარჩენები პოდოლისა, კურსკისა, ხარკოვისა ხერსონისა და ჩერნიგოვის გუბერნიიდან არიან.

*** „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებდნენ, რომ „პეტ. ვედ.“ ვ. ველიჩკოს ხელში გადადისო. ეხლა „ივერია“-ში ვკითხულობთ, რომ ხსენებული გაზეთი ველიჩკოს კი არა, ისევ ბ-ნ უხტომსკის ხელში რჩება.

*** სურამიდან ატყობინებენ ცნობის ფურცელს: წელს ძალიან ცოტა მოაგარაკე გვეწვიაო, რადგან ჯარი აღარ მოსულა საზაფხულოდ, არც დუშეთიდა აღარც გორიდან. ისე რომ ცარიელზე დარჩნენ როგორც სახლის პატრონები, ისე თავხედი ჩარჩები, რომელთაც გამორჩენის მადა ძალზე ჰქონდათ განვითარებულიო.

*** გორის მაზრიდან სწერენ ცნობის ფურცელს: „ეს რამდენიმე დღეა აქ თავზე ხელ აღებულთა ბრბო შესდგაო ამ ბრბომ ამას წინად სოფ. ატოციდან სამი ქალი მოიტაცა და მახლობელ ტყეში სამი დღე დაჰყო. ამავე ბრბომ სოფ. ალში მცხოვრებს დავით ჯანოვოშვილს შეუთვალა, ფული გამოგვიგზავნე, თორემ აგიკლებთო. შეშინებულ ჯანოშვილს ცოლ-შვილი სურამში გაუგზავნია და ყველაფერი პოლიციისათვის უცნობებია“.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ლოცვა

როგორც მწუხარების მომქარვებელი საშუალება.

ფარრარისა.

(რუსულიდგან)

„და იყო ღვაწლსა შინა უმეტესლა ილოცვიდა“
სახ. ლუკასი 22—44.

შემდეგ უკანასკნელი სერობის გათავებისა, უფალმა და მისმა მოწაფეებმა, რომელთა რიცხვს აღარ ეკუთვნოდა გაუბედურებული და ბოროტსვიანი გამცემელი, წარსთქვეს უკანასნელი ლოცვა, განვლეს ბჭენი ქალაქისა დ გაემგზავრნენ ზეთისხილის გამწვანებულ მტილისაკენ.

დიდებული, მაგრამ მასთანავე იდუმალის მწუხარებით აღსავსე იყო ეს მათი უკანასკნელი მგზავრობა. რაღაც გამოურკვეველი შიში, როგორც ლოდი ისე აწვა გულზედ და უმღვრევდა სულის სიმშვიდეს ამ ღარიბ გალილეველთა მცირე რიცხვს, იმ დროს როცა ისინი თითქმის შეუწყვეტელის სიჩუმით ღამის წყვდიადში მისდევდენ თავის მეუფეს —ზეციურს მოძღვარს, რომელიც თავ-ჩაკიდებული და მწარე ნაღველით გულ-შეწუხებული ეგებებოდა თვითნებობით და თავის სურვილისამებრ განმზადებულს ტანჯვა-წვალებას. ამ ღამეს ისინი აღარ დაბრუნდენ, ჩვეულებისამებრ, ბეთანიაში, არამედ დარჩენ გეთსამანიის ბაღში.

იესომ უწყოდა, რომ ჟამი მისი უკიდურესი დამცირებისა მოახლოებულ იყო, რომ ამ წუთიდგან დაწყებული ვიდრე ჯვარზედ სულის განტევებამდე, მას უნდა ეგემა ის ფიალი ტანჯვა-მწუხარებისა, რომლის ატანაც ოდნავ მაინც შეუძლია ადამიანს და გამოეცადა სავსებით ის სულის შემხუთველი და დამწველი ურვა, რომელსაც ძალუძს გაუძლოს კაცმა; ისე რომ ამ მოსალოდნელს ხორცის ვნებას და სულის კვეთებას არ შეეძლო კვალი არ აღებეჭდა და არ დაერღვია ცოტა ხნობით მაინც ნათელ-მო-

ილი სიმშვიდე და საზოგადოთ აუღელვებელი სიწყნარე მისის ღვთაებრივის სულისა... ცოტა რამ დრო რჩებოდა კიდევ მის უფლებაში და ამ დროთი უნდა ესარგებლებია მას. რათა გაემხნევებია და გაემაგრებია თვისი გული, ლოცვით და მარტოობით დაემშვიდებია და ენერგიით აღეჭურვა თვისი აღელვებული სული იმ დრომდის, სანამ სიბოროტე მთელის თავის სიმძიმით არ დაატყდებოდა მისს უდანაშაულო და წმიდა თავს. ის უნდა მედგრად შეხვედროდა ამ განსაცდელს და ძლევა-მოსილიც დარჩენილიყო; მას—მხოლოდ ერთად-ერთს უნდა დაეძლიოს ეს უუმწარესი და უუბნელესი სულის კვეთება და ხორცის ტანჯვა. ის არ ითქმის რომ მისთვის საჭირო არ ყოფილიყოს თანაგრძნობა, არა, რადგანაც ყოველი დიდებული სული საჭიროებს მაში, და შეიძლება უუდიდებულესი სული უფროც საჭიროებდეს... თუმცა მისს მეგობრებს ეძინათ, როცა გამცემელს თვისი უგვანო აზრი დაუბრკოლებლივ მოჰყავდა სისრულეში, მაგრამ მაინც ანუგეშებდა იესოს ის აზრი, რომ ამ შავბნელ დროს ახლოს არიან ისინი, რომელთაც ყველაზედ უფრო მეტად უყვარდათ იგი. „დასხედით მანდა“ უთხრა მან ამ მცირე რიცხვს თავის მოწაფეებისას „ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო“ ⸗ ისინიც გამოეხვიენ წამოსასხამებში და მიწვნენ დასაძინებლად, ხოლო მან წაიყვანა პეტრე, იაკობი და იოანე, ეს არჩეულთა შორის არჩეულნი და განვიდა მათგან ქვის სატყორცებელოდენ. მაგრამ მათი სიახლოვეც აუტანელი შეიქნა მისთვის. გამოუთქმელმა მწუხარებამ და კაცისაგან აუტანელმა ტანჯვამ შეიპყრეს იგი და თითქმის წინ-და-წინვე აგემეს მას სიკვდილის შხამით აღსავსე ფიალი... მან უფრო აშკარად იგრძნო მარტოობის სურვილი, მოინდომა დარჩენილიყო მარტოდ მარტო —მამა ღმერთთან. ის განშორდა მოწაფეების სიახლოვით გამოწვეულს თანაგრძნობას, განვიდა მათგან, მიატოვა მთვარის მკრთალის სხივებით ოდნავ განათებული არე ⸗ გაეშურა ზეთისხილის ხეების გაბადრულ შტოებს ქვეშ, სადაც მთვარის შუქი აღარ უწევდა. და აი ამ შავ-ბნელ და მყუდრო კუთხეში მოწაფეები ხედავდენ მას ხან მუხლ-მოდრეკილს და თავ-ჩაკიდებულს, ხან მიწაზედ განრთხმულს და მთრთოლვარეს. განცვიფრებამ და შიშმა მოიცვა იგინი და მათ ეგონათ, რომ მთელი ეს არე-მარე სავსე იყო კეთილ და ბოროტ სულებით, რომელნიც ჩუმად, მაგრამ სასტიკის ძალით იბრძოდენ, რომ რომელიმე მხარეს დარჩენოდა საუკუნო გამარჯვება—ძლევა... მათი შიში და აღელვება იმ ზომამდე მივიდა, რომ ის სიმწრის ოფლი, რომელიც წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა იესოს სხივით მოსილს სახეზედ ამ მომაკვდინებელ სულის კვეთების დროს, მათ ეჩვენათ სისხლის წვეთებად. უკანასკნელნი სიტყვები იმ ვედრებისა, რომლითაც ქრისტე მუხლ-მოდრეკილი და ხელ-აპყრობილი მიმართავდა თვის ზეციურს მამას და რომელნიც მოესმათ მოწაფეებს, იყვნენ შემდეგნი: „უკეთუ შესაძლებელ არს თანაწარმხედინ ჩემგან სასმელი ესე, ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“...

რა მნიშვნელობა აქვს, ძმანო, ჩვენთვის ამ შესანიშნავს შემთხვევას? რაში მდგომარეობდა საშინელება ამ შუალამის ჟამისა? ნუ თუ ფიქრობთ, რომ ეს იყო შიში სიკვდილისა და რომ ამას შეეძლო ძირიანად შეერყია და აღეშფოთებია წმიდა ⸗ უმანკო სული ძისა კაცისა?... მაგრამ ნუ თუ ცხადზედ უცხადესი არ არის თვით ბავშისათვისაც, რომ ეგრეთი შიში წარმოუდგენელი ⸗ შეუძლებელი ხდება თუ-კი მოვიგონებთ იმ გმირულს მხნეობას, რომლითაც მან აიტანა ყოველი ტანჯვა-წვალება თხუთმეტი საათის განმავლობაში;—იმ დიადს სიჩუმეს, რომლითაც მან განცვიფრებაში მოიყვანა მკაცრი რომაელი; —იმ სულის დიდ-ბუნებოვანება—სიდიადეს, რომელმაც განულო ბჭენი სამოთხისანი შენანებულს ავაზაკს და მიანიჭა შემბრალებელი შენდობა განდგომილს მღვდელთ-მთავარს?.. განა წარმოსადგენია, რომ სიკვდილის შიში შეიპყრობდა მას, როდესაც თვით სიბერით მთრთოლვარე მოხუცნი, სუსტნი ქალწულნი და მხრდალნი ჭაბუკნი შეუხრელად და სიამით ეგებებოდენ, მხოლოდ მისის ძალით განმხნევებულნი და მისის სახელით გადიდ-სულოვანებულნი ათასნაირის სახით მოვლენილს სიკვდილს?...

შიში მხოლოდ სიკვდილისა არის შიში, რომელსაც ადვილად სძლევს დაბალი ვნებაც კაცის გონებისა და სულისა, ან და განა ცოტა ბრიყვნი ⸗ თავხედნი დამნაშავენი შეხვედრიან სიკვდილს გულმაგრად და მხნედ? თუ-კი ვინმემ იცოდა და იცის, მით უფრო იესომ, რომ სიკვდილი ისეთივე ბუნებითი მოვლენაა, როგორც დაბადება—შობა, რომ სიკვდილი ღვთის მოყვარულთათვის არის დიდებული დღე განახლებისა, წარმოშობისა, რომ ის (სიკვდილი)

არის ის ნეტარი ძილი, რომელიც ეძლევის კაცს ღვთისაგან. შხამი სიკვდილისა, ერთად-ერთი შხამი არის ცოდვა და სამარეც მხოლოდ მით გვძლევს, რომ მიგვცე მას ხრწნილებას. არა, ის, რამაც გადმოადინა იესოს სახიდგან სისხლის ოფლი, იყო ბევრად უფრო მომაკვდინებელი და შემაწუხებელი ვინემ სიკვდილი. თუმცა ოვით იყო უცოდველი, მაგრამ ტანჯვა იტვირთა ცოდვისათვის. კაცობრიობის საშინელი და შესაზარელი ცოდვა მთელის თავის სიმძიმით აწვა კისერზედ ტ უხუთავდა მას სულს; და წმიდა ბაგით სვამდა იმ მწარე ფიალს, რომელიც ცოდვამ აავსო თვისის მომაკვდინებელის შხამით. განა შესაძლებელია, რომ სრულს უმანკოებას შეუდრეკელად აეტანა ყოველივე ის რაიც არის საზიზღარი კაცობრიობის უმადურობაში და ადამიანთა სიერაგეში? განა შესაძლებელია ძვირს და ზიზღს ცოტა ხნით მაინც არ დაებუდებიოს მის გულშიდ, ვინც იყო სრული, განხორციელებული სიყვარული, მათდამი ვინც იყვნენ მისნი, ვისთვისაც იგი მოვიდა ქვეყანასა ზედა და რომელნიც სულელურის ზიზღით ეპყრობოდენ დაუსაბამო და დაუსრულებელს სიწმიდესა, სიყვარულს და მშვიდობას?.. ვნება იგი იყო ნებსითი, თვითნებობითი, მაგრამ მაინც იყო ვნება, რომელიც მან მოითმინა ჩვენთვის. ძე ღვთისამ ივნო მისთვის, რომ ვნებითა და ტანჯვითა თვისითა წარმოშოს და აღაყვაოს დაუსრულებელი შებრალება.

ჩვენთვის მოუხერხებელია სრულიად აღვნუსხოთ საიდუმლო მნიშვნელობა ამ სისხლით შეზავებულის ღვაწლისა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჩვენდა სასარგებლოდ მივაპყროთ ყურადღება და, განთავისუფლებულნი ყოველივე მდაბალის სულის ვნებისა და კვეთებისა და უკუმგდებელნი სიამაყისა და თავხედობისა, გულმოდგინეთ დაუკვირდეთ ამ შესანიშნავს თქმულებას: „და იყო ღვაწლსა შინა უმეტესღა ილოცვიდა“. ვკადნიერდები გამოვიყვანო ამ თქმულობიდგან ორიოდე მოძღვრება მათთვის, რომელთაც ასხენ ყურნი სმენად. ამ მოკლე, მაგრამ ღრმა აზროვან თქმულობას აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა... ყოველი ჩვენგანისთვის ადრე თუ გვიან დადგება მოთხრობილი ჟამი გეთსიმანიისა; იგი შეიძლება იქნეს გეთსიმანია ბრძოლისა, სილარიბისა და ზრუნვა—შრომისა, ან და გეთსამანია ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობისა; ან შეიძლება იგი იქნეს გეთსიმანია შენდობის გამოთხოვებისა და მიცემისა იმ დროს, როცა მწოლარე სარეცელსაზედა სიკვდილისასა, ვგრძნობთ-რა სიკვდილის მოახლოებას უკანასკნელად ვუცქერთ ჩვენთა საყვარელთა და მეგობართა, ან და გეთსიმანია სვინდისის ქენჯნისა და ცოდვათა შეგნებისა, რომელთა (ცოდვათა) არა ქნა ჩვენ არ გვსურს, მაგრამ რომელთა შესახებაც ვამბობთ, რომ არ ქნა არ ძალგვიძს. მაგრამ, ძმანო, ამ გეთსიმანიის განსაცდელსა შინა შთავრდომილთ და თვით ცოდვისაგან ტანჯვის მორევში ჩაფლულთ მოგვხედავს, გაგვამხნევებს და ნუგეშსა გვცემს თვით ის, რომელმაც იტვირთა ჩვენთა ცოდვათა სიმძიმე, უკეთუ მივმართავთ მას ვედრებითა და ლოცვითა. იგი იქნება ჩვენი შემწე უკეთუ ჩვენ ვიქნებით-რა დვაწლსა შინა—ვიდოცავთ. მას შეუძლია, რომ შეგვიბრალოს და კიდევაც ებრალება ჩვენი უძლურება. მან—მხოლოდ მარტო ერთმა შესვა ფიალა ვნებათა და მწუხარებათა; იგიც იწვა თავდაღმა განრთხმული მიწაზედ და ის ნუგეში, იმედი, რომელიც მან მიიღო იმ დროს მან აღგვითქვა ჩვენცა, დიაღ, აღგვითქვა ნუგეში, შემწეობა, მშვიდობა სულისა, განკურნება, ნათელი, სასოება, სარწმუნოება, უფსკრულიდგან აღმოყვანებელი ხელი, განმკურნებელი ძალა ლოცვისა. ჭეშმარიტად ლოცვა არის ბუნებითი ნუგეში, რომელსაც ძალაუნებურად ეღტვის ქრისტიანი. როდესაც წყალთა ნაკადულნი წაგვლეკენ ჩვენ, როდესაც გვეჩვენება, რომ ღვთის რისხვა და მეხი გვეცემის თავზედ, როდესაც უბედურობა, ვითარცა აღელვებულის ზღვის ზვირთები ჰფარავს ჩვენს შეცოდებას,—ასე რომ თვით ცოდვაც შთაუნთქავს მწუხარებას. ოჰ, მაშინ თუ-კი რომ ჩვენშიდ სრულიად არ არის ჩამქრალი სულის მისწრაფება და ღვთაებრივი მსგავსება, რა უნდა ვქნათ უკეთესი თუ არ დავარდეთ და მივმართოთ იმ აღსავალს კიბეს, რომელსაც ძალუძს ქვეყნიურს მოგვაშოროს და მიგვაახლოვოს, ძალუძს დაგვიახლოვოს ღმერთი მოწყალებისა და ღმერთი სიყვარულისა. ჭეშმარიტად მწუხარება-გაჭირვებაშიდ ჩავარდნილნი ჩვენ ვლოცვილობთ და ლოცვითა მით განვიკურნებით ეოველივე ტანჯვა-გვემისაგან.

მღ. არტემი ბოჭორიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მართლმადიდებლობით—ქრისტიანობრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

(გაგრძელება*)

დიდი კვერექსის ყოველ წარმოთქმაზე მგალობელნი გალობენ: უფალო, შეგვიწყალენ-ს!

მოკლეა ეს ლოცვა, მაგრამ იგი თვისის შინაარსით ძლიერ ღრმა და მრავალ მნიშვნელოვანია, იგი თვის შორის მთელს მხარეს ადამიანის სარწმუნოება-ზნეობრივის ცხოვრებისას შეიცავს, მასში კაცის მრავალგვარნი საჭიროებანი გამოიხატებიან.

უფალო, შეგვიწყალენ!—უფალო, მოგვხედე, შეგვიბრალე, დაგვეხმარე, შეგვეწიე.

უფალო, შეგვიწყალენ!—უფალო! თუმცა მთელი ჩვენი ცხოვრება ცოდვითია, ყოველი ჩვენი შინაგანი, სულიერი მოძრაობა და გარეგანი მოქმედება ბიწიერია, და ამისგამო შენის მოწყალების ღირსნი არა ვართ,—გარნა, სულგრძელო და მრავალ მოწყალეო, ნუ განგვირისხდები, ნუ განგვეშორები, ნუ მოგვაკლებ შენს განსაკუთრებულს მფარველობას, შენს მამობრივ მზრუნველობას, დაფარენ ცოდვანი ჩვენნი შენის განუსაზღვრელის სიყვარულითა, მოგვიტევენ შეცოდებანი, აღგვისრულენ თხოვანი ჩვენნი, გვიხსენ წვალებათაგან, როგორც ამა ცხოვრებაში, ისე საუკუნოისაშიდაცა. უფალო, შეგვიწყალენ!—აურაცხელნი ცოდვითნი ვნება-მიდრეკილებანი, წინააღმდეგ ჩვენის სურვილისა, გვფლობენ, გვბრძვანან, გვძლევენ, ბუნებას გვიწყლულებენ, გვიმახინჯებენ, გვიკარგვენ შენს ხატებასა-მგზავსებასა, გვაღელვებენ, გვაშფოთებენ; ვიქმთ არა იმას, რაიცა გვნებავს, არამედ მას, რაც არა გვსურს; ძალაუნებურად ვასრულებთ არა კეთილგანზრახულებასა, არამედ ბიწიერ მოთხოვნილებასა. და ეს უთანხმოება ჩვენს სურვილსა და მოქმედებას შუა წარმოშობს ჩვენში დიდს მწუხარებას, ტანჯვა-წვალებასა. ღმერთო, ყოვლად სახიერო! მოხედე ჩვენს უძლურებას, ჩვენს გაჭირვებას, მოგვეც შეძლება ვეომოთ და ვსძლიოთ ჩვენს ბუნებაში გამეფებულ ბოროტებას, მოგვანიჭე ძალა შევებრძოლოთ და უკუვაქციოთ ყოველი ცოდვითი სურვილი და მივსცეთ ადგილი კეთილს წადილსა, ცხადვჰყოთ და განვამტკიცოთ მნებელობა ჩვენი მხოლოდ კეთილ მოქმედებაში და მით განვთავისუფლდეთ ცოდვებისაგან წარმომდინარე წვალებათაგან.

უფალო, შეგვიწყალენ!—უფალო! შენ ხარ ერთად ერთი წყარო ჭეშმარიტის ბედნიერებისა, შენ ხარ მომცემი სრულის სულიერის კმაყოფილებისა, გარეშე შენსა არა არს ნამდვილი და მუდმივი მშვიდობა და სიხარული. ნეტარ არს ის, ვინც შენ გიახლოვდება, გიერთდება, ვინც წრთვნის თვისს თავსა, ისისხლ-ხორცებს სათნოებათა, მას შენ ანიჭებ შენს ცხოველს მყოფელ მადლსა, მას შენ აღავსებ ზეციურის სიტკბოებითა. ღმერთო—სიყვარულო განუზომელო, საუნჯეო კეთილთაო! გვწყალობდე ჩვენცა, სულით ღატაკთა, მოგვეც ძალა აღვადგინოთ დაცემული ბუნება ჩვენი, აღმოგვიყვანენ ბოროტების უფსკრულისაგან, აღგვამაღლე, ღირს გვყავ შენთან განუწყვეტელ მჭიდრო კავშირისა, მოგვფინე ნათელი შენი, აღგვიჩქეფე გულში ნაკადული დაუშრეტელის ნეტარებისა.

უფალო, შეგვიწყალენ!—მრავალნი ჭირნი და სალმობანი გარე მოგვიცვენ ჩვენ; გარს გვახვევიან უთვალავნი მწუხარება-წვალებანი კაცთაგანაც, ბუნების მრისხანე და მავნებელ მოვლენათაგანაც და თვით ჩვენის დასუსტებულის, განხრწნილის სხეულისაგანაც. მუდამ ზრუნვა თვითარსებობაზე, მუდამ ფიქრი თავის დაცვაზე, მუდამ მღელვარება ტ შფოთი, მუდამ შიში და ძრწოლა—აი ჩვენი ცხოვრება! ზრუნვანი ესე ქვეყნიურნი იპყრობენ მთელს ჩვენს ყურადღებას, ატყვევებენ მთელს ჩვენს არსებას, გვაშორებენ სურვილს შენთან შეერთებისასა, გვიკარგვენ ყოველივე ხალისს, გვაღონებენ, გვამწუხარებენ, უნუგეშგვყოფენ. ღმერთო ყოვლად ძლიერო! მოგვხედე გაჭირვებულთა, შეგვიმსუბუქე შევიწროებული ყოფა-მდგომარეობა, შეგვიმცირე ტანჯვანი, გვიხსენ-გვილხინე, რათა ცხოვრების უღლის სიმძიმისა გამო სულით არ დავეცეთ და ადამიანური ღირსება სულ ერთიანად არა დავკარგოთ.

დიდი კვერექსის შემდეგ მგალობელთა გუნდი გალობენ: ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზა ცოდვილთა წარწყმდეს... და სხვა. ეს სიტყვები ამოკრებილია პირველ, მეორე და მესამე ფსალმუნებიდან. ფსალმუნებად იწოდება ისეთი საღმრთო ნაწერები, რომლებშიც გამოხატულია

*) „მწყემსი“ № 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის სულის მდგომარეობანი ამა თუ იმ გარემოებაში, სიხარული და მწუხარება, თხოვა-ვედრება და ღვთის ქება-დიდება რომელსაც ებრაელები ღვთის მსახურების დროს გალობდნენ საკრავ იარაღებზე დაკვრასთან ერთად. ფსალმუნები, რიცხვით 150, შეადგენენ ერთს წიგნს, რომელიც იწოდება დავითნად. ეს წიგნი იწოდება ამ სახელით იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი ფსალმუნებისა ებრაელთა მეფის დავითის მიერაა შედგენილი. დავითნი ჩვენს ეკკლესიაში დიდ ხმარებაშია; იგი ყოველ კვირაში — შვიდეულებში — თითოჯერ წაიკითხება, ხოლო დიდ მარხვაში ორჯერ კვირაში.

ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, — ნეტარ არს — ბედნიერია; ზრახვა — ფიქრი, აზრი, გულითადი სურვილი; უღმრთონი, წარმართნი — კაცნი, რომელნიც წარემართნენ ღვთისაგან, განშორდნენ მას და იქცევიან არა ისე, როგორც უფალმან მათ ვალად დაუდგინა, არამედ ნებისაებრ თვისისა, ბოროტად ცხოვრობენ. ფსალმუნთა მგალობელის სიტყვისამებრ, ნეტარ არს ის ადამიანი, რომელიც არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, ე. ი. რომელიც თავის გულში წარმართულ, ბიწიერ, ღვთის მიერ დაშლილ ფიქრს, სურვილს არ გაიტარებს, რომელნიც ბოროტ კაცების ცუდ მაგალითს, რჩევა-დარიგებას არ მისდევს, რომელიც კეთილ ცხოვრებაში, ღვთის ნების აღსრულებაში მტკიცე და შეურყეველია. ამ გვარი ადამიანი ბედნიერია, იმიტომ რომ მასთან სუფევს ღმერთი, და ამით იგი მშვიდობასა და სიხარულს პოულობს. თუ ვინიცობაა იგი ამ ქვეყანაში ვერ იმკვიდრებს სრულს მშვიდობასა და შვებას, მაგიერად იგი მომავალ საუკუნო ცხოვრებაში ცხადათ და სავსებით გემოთი იხილავს ღვთაებრივ სიტკბოებასა.

და გზა ცოდვილთა წარწყმდეს. — ის ადამიანი, რომელიც ბოროტების გზაზე მსვლელობს, რომელიც ღვთის მცნებას არღვევს, რომელიც სათნოებებით კი არ იმკობს თავის-თავს, არამედ ბოროტ თვისებებს იძენს, — წარწყმდება, გაუბედურდება. თუ როგორმე ამისთანა კაცმა ამ სოფელში ვერ შეიგნო თვისი სულიერი სიღატაკე, ვერ იგრძნო თვისი დაცემულობა, მომავალ ცხოვრებაში მაინც მას არ აცილდება ტანჯვა-წვალება; მას თვალწინ ცოცხლად გადაეშლება ბოროტებაში, სიავკაცობაში განვლილი ცხოვრება თვისი და ყოველ ცოდვის მოგონებაზე მასში უსაზღვრო მწუხარება წარმოიშობის, და მისი ხვედრი იქნება მუდმივი გლოვა-გოდება ქვეყანაზე არსებობის დროს ბოროტებაში გატარებულ ცხოვრებისაგამო. საშინელია ასეთი ყოფა! მუდამ ცოდვების წარმოდგენა და მუდამ კვნესა-მოთქმა!

მონებდით უფალსა შიშით, — რათა ადამიანი საუკუნო წარწყმედას, საუკუნო ტანჯვა-წვალებას აშორდეს, რათა იგი გახდეს საუკუნო ბედნიერი, ამისთვის იგი უფალს უნდა მონებდეს, ანუ ემსახურებოდეს, ე.ი. ღვთის ნებას უნდა ასრულებდეს, უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც მან განუწესა მას, უნდა იქცეოდეს შინაგანის ზნეობრივის კანონის, ანუ სინდისისა და გარეგანის წერილობითის კანონის, ანუ წმ. განცხადებისამებრ თანახმად სახარებისა, იგი კეთილს უნდა იქმოდეს; და ამით, ე. ი. წმიდა ცხოვრებით ღმერთს უნდა აქებ-ადიდებდეს. ამასთანავე კაცი უფალს უნდა მონებდეს, ემსახურებოდეს შიშით. მას წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, რომ ღმერთი უმაღლესი, განუსაზღვრელი, მიუწთომელი არსებაა, რომ იგი ყოველისავე დამბადებელ-შემქნელია, და ამასთან ის ღვთისადმი კრძალვა-მორიდებას უნდა გრძნობდეს და უნდა სცდილობდეს არ განარისხოს იგი თვისის ცუდის ყოფაქცევითა. ადამიანს ღვთისადმი უნდა ჰქონდეს არა დამამცირებელი, სულის შემხუთველი მონური შიში, არამედ ისეთი შიში, როგორსაც გრძნობს კეთილგონიერი შვილი თვის მშობლებისადმი, შიშსა სიყვარულით შეზავებულსა, ე. ი. კრძალვა-მორიდებასა.

და უგალობდით მას ძრწოლით. — საეკკლესიო ენაზე გალობა ნიშნავს სიტყვით გამოხატვას სულიერის სიხარულისა; ამგვარად უგალობდით იგივე იხარებდითა.

იმ ადამიანს, რომელიც კეთილ ცხოვრების უმაღლეს ხარისხამდე მიაღწევს, ღმერთთან შეერთების ღირსი გახდება, ცხოველ-მყოფელ მადლს მიიღებს, სულიერ კმაყოფილებასა და სიხარულს მოიპოვებს, — დიდი სიფრთხილე მართებს. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ღმერთი რამდენადაც სახიერია, იმდენადაც უდიდესია, რომ კაცი, რაც უნდა იგი ზნეობრივად ამაღლებული იყოს, მაინც ღვთის წინაშე არა რაი არს. ადამიანი, თუ მას რაიმე კეთილი აქვს, იძენს მას არა თვისი შეძლებითა, არამედ მხოლოდ ღვთის სახიერებითა, ღვთის შეწევნითა, და ამიტომ იგი ღვთის წინაშე არ უნდა გაკადნიერდეს არ უნდა გათამამდეს, თვისი თავი ღირსეულად არ უნდა ჩათვალოს; პირიქით თვისს თავს უღირსად უნდა რაცხდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მასში დაისადგურებს ამპარტავნება, რასაც მყისვე თან მოჰყვება ღვთისაგან განშორება და მით სიწმიდისა და ბედნიერების დაკარგვა.

კაჭახაძე.

(გაგრძელება იქნება)

შეწირულებანი.

ჩვენი დროის კეთილი და პატიოსანნი პირნი.

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ამ დღეებში, სახელმწიფო ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილებაში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ერთი მემამულის დიდი უძრავი ქონება, ვადიან გარდასახადის შეუტანლობის გამო.

ეს მამული შეიძინეს ბ-ნთ ივანე როსტომისძე მიქაძემ, დავით სავლეს ძე მაჭავარიანმა და დავით მიხეილის ძე წიკლაურმა.

რადგანაც ეს მეტად სამწუხარო შემთხვევა იმ მემამულის მოურავის შეცდომით მოხდა ზემოხსენებულ პირთ, თანახმად ჩემის თხოვნისა, კეთილ-ინებებს და გარდასწყვეტს, ნაყიდი მამული უკანვე დაუბრუნონ პატრონს უსასყიდლოდ, მხოლოდ თითონვე მესაკუთრემ მოისურვა თავისის თავის დასჯა უმეცარობის გამო და შეაძლია მათ ჯილდოდ ექვსასი მანეთი. მაგრამ იმათ ეს ფული თავის და სასარგებლოდ არ მიიღეს და საქველმოქმედო საქმეთათვის გადასდეს, მიქაძემ და მაჭავარიანმა ამ ფულიდგან 400 მან. შესწირეს სათავად-აზნაურო სკოლის შენობას და წიკლაურმა 200 მან.—წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელს, სადაც იგი აღიზარდა.

ასეთის პატიოსნურის და ჩვენს დროში იშვიათის მაგალითის გამო მე ვალად ვრაცხდი ჩემს თავს პირად მადლობა მეთქვა ბ-ნთ მიქაძესათვის, მაჭავარიანისათვის და წიკლაურისათვის, ამასთანავე საჯაროდ ვუცხადებ მათ ჩემს უგულითადესს და წრფელს მადლობას ბეჭვდით სიტყვის საშუალებით, რადგანაც მათ არ ინებეს უცაბედის შემთხვევით სარგებლობა და, თავისად საბედნიეროდ არ დაღუპეს ერთი თავიანთი მემამულე ოჯახთაგანი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა
წინამძღოლი თ. დ. ზ. მელიქიშვილი.

I

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ სვერის სამღვდელოებას, რომელმაც შემოსწირა ითხვისის სამრევლო შკოლას თვითვეულმა კრებულმა თითო მანეთი და სრულიად 25 მან.

ამ ფულით იქმნება მოპოებული შკოლისათვის წიგნების დასაწყობი შკაფი.

ბლაღოჩინი მღ. იოსებ წერეთელი.

II.

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივ-ცემულის გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მხრით შემდეგს პირებს რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ბოყვის წმ. გიორგის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: მცხეთის დედათა მონასტრის იღუმენია ნინამ დაფარნები ფარჩის მოქარგული კარგის ხელოვნებით, ოლარი და საბუხრეები. აზ. გიორგი რამაზასძე გოცირიძემ ერთი რწყვილი ბაირაღები ღირებული 25 მანეთის. ფოფალია ჭიჭინაძის ასულმა ტრაპეზის ჯვარი 16 მანეთის. ბარბალე გოგრიჭიანის ასულმა სანაწილე ვერცხლის 20 მ. ღირებული. როსტომ ჯაფარიძემ თანაარსის შანდალი 5 მან.—

მღვდელი ალექსანდრე გოცირიძე.

განცხადებანი.

ქუთაისის
სათავად-აზნაურო სასწავლებელი
ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიდაც მიიღებიან შვიდი და რვა (7-8) წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობის თვემდის; თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

3—1

მიიღება ხელის-მოწერა 1903 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2მ.
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2»
— ,, ორივე გამოცემა 5 »	— ,, ორივე გამოცემა 3»

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу

(როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა)

იაკობ გოგებაშვილისა.

ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც.

ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

საავადმყოფო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაკან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ დებულობს.

წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: სად უნდა ინათლებოდენ ბავშები. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—მწარე ფიქრები—სოფლის ხუცისა.—იმპერატორის ნიკოლოზ I-ს მოგზაურობა საქართველოში.—რომის პაპი ლეონ მეცამეტე.—ჟურნალ-გაზეთებიდან —ახალი ამბები და შენიშვნები.—ვიღაც ოტიას—პასუხი, ალექსი ბერისა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**: ლოცვა, როგორც მწუხარების მომქარვებელი საშუალება. მღ. არტემ ბოჭორიშვილისა.—ღვთის მსახურების განმარტება, კაჭახიძის.—შემოწირულებანი განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 15 іюля *1903г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.